

## შენობების მოკლე აღწერა

### **რუსთაველის 16**

შენობა გეგმაში მართკუთხა ფორმისაა, ორსადარბაზოიანი, ხუთსართულიანი ნახევარსარდაფით (ფოტო 5-6-7-8). შენობას ორივე მხრიდან გრძივი მიმართულებით გააჩნია მცირე ზომის სხვადასხვა ტიპის მიშენებები, რომლებიც არაგაბარიტულია და მთლიან მოცულობაში არღვევს შენობის გარე სიბრტყეებს. შენობა მზიდკედლიანია სილიკატური აგურის წყობით (ფოტო 9), სართულშუა გადახურვები წარმოადგენს წინასწარ ჩამოსხმულ ღრუტანიან ფილებს (სიმკარებს), სახურავი თუნუქის მოწყობილი ხის დახრილ ნივნივებზე.

ვიზუალური დათვალიერებით შენობას არ აღენიშნება ჯდენითი ბზარები ან/და სხვა სახის კონსტრუქციული დაზიანებები.

### **რუსთაველის 20**

შენობა გეგმაში მართკუთხა ფორმისაა, ორსადარბაზოიანი, ოთხსართულიანი ნახევარსარდაფით (ფოტო 10-11-12-13). შენობას ორივე მხრიდან გრძივი მიმართულებით გააჩნია მცირე ზომის სხვადასხვა ტიპის მიშენებები, რომლებიც არაგაბარიტულია და მთლიან მოცულობაში არღვევს შენობის გარე სიბრტყეებს. შენობა მზიდკედლიანია სილიკატური და წითელი აგურის შერეული წყობით, სართულშუა გადახურვები წარმოადგენს წინასწარ ჩამოსხმულ ღრუტანიან ფილებს (სიმკარებს),სახურავი თუნუქის მოწყობილი ხის დახრილ ნივნივებზე.

ვიზუალური დათვალიერებით შენობას არ აღენიშნება ჯდენითი ბზარები ან/და სხვა სახის კონსტრუქციული დაზიანებები.

ტერიტორიაზე შენობის ეზოში განთავსებულია ყორე ბეტონის საყრდენი კედელი (ფოტო 14-15), რომელიც კლიმატური პირობების და ხანდაზმულობის გამო გამოფიტულია და საჭიროებს გამაგრებას, დამატებითი კვლევების და მათზე დაყრდნობით დამუშავებული პროექტის მიხედვით.

### **რუსთაველის 28**

შენობა გეგმაში მართკუთხა ფორმისაა, ორსადარბაზოიანი, ოთხსართულიანი ნახევარსარდაფით (ფოტო 16-17-18). შენობას ორივე მხრიდან გრძივი მიმართულებით გააჩნია მცირე ზომის სხვადასხვა ტიპის მიშენებები, რომლებიც არაგაბარიტულია და მთლიან მოცულობაში არღვევს შენობის გარე სიბრტყეებს. შენობა მზიდკედლიანია სილიკატური და წითელი აგურის შერეული წყობით, სართულშუა გადახურვები წარმოადგენს წინასწარ ჩამოსხმულ ღრუტანიან ფილებს (სიმკარებს),სახურავი თუნუქის მოწყობილი ხის დახრილ ნივნივებზე.

ვიზუალური დათვალიერებით შენობას არ აღენიშნება ჯდენითი ბზარები ან/და სხვა სახის კონსტრუქციული დაზიანებები.

ტერიტორიაზე შენობის ეზოში განთავსებულია ყორე ბეტონის საყრდენი კედელი (ფოტო 19), რომელიც კლიმატური პირობების და ხანდაზმულობის გამო გამოფიტულია და საჭიროებს გამაგრებას, დამატებითი კვლევების და მათზე დაყრდნობით დამუშავებული პროექტის მიხედვით.

აგრეთვე ამ შენობაში მეორე სართულზე კუსტარულად მოწყობილია ლითონის სახიდე გადასასვლელი (ფოტო 19-20), რომელიც მეორე მხარეს ეყრდნობა ზემოთხსენებულ საყრდენ კედელს.

### **რუსთაველის 17**

შენობა გეგმაში მართკუთხა ფორმისაა, სამსადარბაზოიანი, ოთხსართულიანი ნახავარსარდაფით (ფოტო 21-22). შენობას ორივე მხრიდან გრძივი მიმართულებით გააჩნია მცირე ზომის სხვადასხვა ტიპის მიშენებები, რომლებიც არაგაბარიტულია და მთლიან მოცულობაში არღვევს შენობის გარე სიბრტყეებს. შენობა მზიდკედლიანია სილიკატური და წითელი აგურის შერეული წყობით, სართულშუა გადახურვები წარმოადგენს წინასწარ ჩამოსხმულ ღრუტანიან ფილებს (სიმკარებს),სახურავი თუნუქის მოწყობილი ხის დახრილ ნივნივებზე.

ვიზუალური დათვალიერებით შენობას არ აღენიშნება ჯდენითი ბზარები ან/და სხვა სახის კონსტრუქციული დაზიანებები.

ტერიტორიაზე შენობის ეზოში განთავსებულია ყორე ბეტონის საყრდენი კედელი (ფოტო 23), რომელიც თითქმის ჩამოშლილია და საჭიროა ახალი კედლის მოწყობა.

### **რუსთაველის 23**

შენობა გეგმაში მართკუთხა ფორმისაა, სამსადარბაზოიანი, ხუთსართულიანი ნახავარსარდაფით (ფოტო 24-25). შენობას ორივე მხრიდან გრძივი მიმართულებით გააჩნია მცირე ზომის სხვადასხვა ტიპის მიშენებები (ფოტო 26-27-28), რომლებიც არაგაბარიტულია და მთლიან მოცულობაში არღვევს შენობის გარე სიბრტყეებს. შენობა მზიდკედლიანია სილიკატური და წითელი აგურის შერეული წყობით, სართულშუა გადახურვები წარმოადგენს წინასწარ ჩამოსხმულ ღრუტანიან ფილებს (სიმკარებს),სახურავი თუნუქის მოწყობილი ხის დახრილ ნივნივებზე.

ვიზუალური დათვალიერებით შენობას არ აღენიშნება ჯდენითი ბზარები ან/და სხვა სახის კონსტრუქციული დაზიანებები.

### **რუსთაველის 30**

შენობა გეგმაში მართკუთხა ფორმისაა, ოთხსადარბაზოიანი, ხუთსართულიანი ნახავარსარდაფით (ფოტო 29-30-31). შენობას ორივე მხრიდან გრძივი მიმართულებით გააჩნია მცირე ზომის სხვადასხვა ტიპის მიშენებები, რომლებიც არაგაბარიტულია და მთლიან

მოცულობაში არღვევს შენობის გარე სიბრტყეებს. შენობა მზიდკედლიანია სილიკატური და წითელი აგურის შერეული წყობით, სართულშუა გადახურვები წარმოადგენს წინასწარ ჩამოსხმულ ღრუტანიან ფილებს (სიმკარებს),სახურავი თუნუქის მოწყობილი ხის დახრილ ნივნივებზე.

ვიზუალური დათვალიერებით ჩანს, რომ შენობაზე განხორციელებულია საძირკვლის გამაგრებითი სამუშაოები (ფოტო 32). ამის მიუხედავად შენობას არ აღენიშნება ჯდენითი ბზარები ან/და სხვა სახის კონსტრუქციული დაზიანებები.

### **რუსთაველის 25**

შენობა გეგმაში მართკუთხა ფორმისაა, ორსადარბაზოიანი, ოთხსართულიანი ნახავარსარდაფით (ფოტო 33-34-35-36). შენობას ორივე მხრიდან გრძივი მიმართულებით გააჩნია მცირე ზომის სხვადასხვა ტიპის მიშენებები, რომლებიც არაგაბარიტულია და მთლიან მოცულობაში არღვევს შენობის გარე სიბრტყეებს. შენობა მზიდკედლიანია ტუფის აგურის წყობით, სართულშუა გადახურვები წარმოადგენს წინასწარ ჩამოსხმულ ღრუტანიან ფილებს (სიმკარებს),სახურავი თუნუქის მოწყობილი ხის დახრილ ნივნივებზე.

ვიზუალური დათვალიერებით შენობას არ აღენიშნება ჯდენითი ბზარები ან/და სხვა სახის კონსტრუქციული დაზიანებები. შენობს არ გააჩნია ანტისეისმური სარტყელი (ფოტო 34).

### **რუსთაველის 82**

შენობა გეგმაში მართკუთხა ფორმისაა, სამსადარბაზოიანი, ხუთსართულიანი ნახავარსარდაფით (ფოტო 48-49-50). შენობას ორივე მხრიდან გრძივი მიმართულებით გააჩნია მცირე ზომის სხვადასხვა ტიპის მიშენებები (ფოტო 51-52), რომლებიც არაგაბარიტულია და მთლიან მოცულობაში არღვევს შენობის გარე სიბრტყეებს. შენობა მზიდკედლიანია სილიკატური და წითელი აგურის შერეული წყობით, სართულშუა გადახურვები წარმოადგენს წინასწარ ჩამოსხმულ ღრუტანიან ფილებს (სიმკარებს),სახურავი თუნუქის მოწყობილი ხის დახრილ ნივნივებზე.

ვიზუალური დათვალიერებით შენობას არ აღენიშნება ჯდენითი ბზარები ან/და სხვა სახის კონსტრუქციული დაზიანებები.

### **აღობილის დასახლება**

შენობა გეგმაში მართკუთხა ფორმისაა, ორსადარბაზოიანი, ოთხსართულიანი ნახავარსარდაფით (ფოტო 53-54-55-56). შენობას უკანა მხრიდან გრძივი მიმართულებით გააჩნია მცირე ზომის სხვადასხვა ტიპის მიშენებები, რომლებიც არაგაბარიტულია და მთლიან მოცულობაში არღვევს შენობის გარე სიბრტყეებს. შენობა მზიდკედლიანია სილიკატური და წითელი აგურის შერეული წყობით, სართულშუა გადახურვები წარმოადგენს წინასწარ ჩამოსხმულ ღრუტანიან ფილებს (სიმკარებს),სახურავი თუნუქის მოწყობილი ხის დახრილ ნივნივებზე.

ვიზუალური დათვალიერებით შენობას არ აღენიშნება ჯდენითი ბზარები ან/და სხვა სახის კონსტრუქციული დაზიანებები.

## ზოგადი რეკომენდაციები

საერთო ჯამში ზემოთ აღწერილ შენობებს გარე ვიზუალური დათვალიერებით არ აღენიშნებათ სერიოზული კონსტრუქციული დაზიანებები. რეკომენდირებულია გამოფიტული და ბათქაშ ჩამოცვენილი ადგილების აღდგენა, კონსტრუქციულად გაუმართავი მიშენებების დემონტაჟი ან გამაგრება, თუნუქის სახურავების გარემონტება/გამოცვლა, აგრეთვე შენობებზე გარედან მიმაგრებული ლითონის სახანძრო კიბეების დემონტაჟი და ახლის მონტაჟი, შენობების გარშემო წყალსარინელი ბილიკის (ატმოსკის) მოწყობა. რეკომენდირებულია რამოდენიმე ლოკაციაზე არსებული საცხოვრებელი სახლების ეზოს შემომსაზღვრელი საყრდენი კედლებისათვის დამატებითი კვლევების ჩატარება და მათზე დაყრდნობით დამუშავებული კონსტრუქციული პროექტის მიხედვით გამაგრებითი სამუშაოების განხორციელება.